# ნიანგი

აგვისტო, 1932 წ.
№ 19
ფასი 25 კაპ.

ს. ს. ს. რ. 35 -
სახალხო განათლების
კომისარიატი
საქართველოს
წიგნის პალატა
16 VIII 1932
№364




ნიანგი: „კოლექტივიზაცია — გზაა სოციალიზმისაკენ“, — მაგრამ ასეთი გზით რომ კოლექტივში ვერ მივალთ?!

# გზა

დღეს დიდი და ბევრი ლაპარაკია გზების შესახებ. სჯობდა კი ცოტა და ნაკლები გველაპარაკნა და საქმე მეტი გაგვეკეთებინა. სიტყვები, ცირკულიარები და დადგენილებები, რომ ხრეში და სატკეპნი მანქანა ყოფილიყვნენ, ჩვენ ახლა მშვენიერი გზები გვექნებოდა. მაგრამ **„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შვაში უზის დიდი ზღვარი“**, — ამბობს რუსთველი.

ჰო, მართლა, რუსთველი სხვასაც ამბობს: **„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“.**

რაშია საქმე?

ჩვენ გვგონია, რომ „ვეფხის — ტყაოსნის“ ეს ადგილიც ყალბია, როგორც ზოგიერთი სხვა.

აქ ლაპარაკია ვიწრო და კლდოვან გზაზე და სიკვდილზე, ე. ი. ვიწრო და კლდოვანი გზა სახიფათოა, მარცხის, სიკვდილის ხელის შემწყობია. ჩვენის აზრით სწორედ ასე ექნებოდა რუსთველს თქმული ეს აზრი:

**„მარცხსა გვიქადის ყოველსა**
**გზა ვიწრო და გზა კლდოვანი;**
**სჯობს გზას საძრახს და წამხდარსა**
**გზა კარგი, სახელოვანი.**

დიახ, ასე ექნებოდა თქმული, მაგრამ შემდეგ გადამწერის დროს დაამახინჯებდენ ტექსტს.

საბა სულხან ორბელიანის განმარტებით—„გზა არის ზომიერ კაცთა სავალი, ხოლო შარა—ვრცელი და ბილიკი—ვიწრო, ხოლო ქაშანი—ჩამზნართა ანუ თოვლთა ზედა გატკეპნილი სავალი და წავარნა—კლდეთა ზედა ვიწრო რამ ნადირთა წარსავალი“. (ლექსიკონი გვ. 68).

როცა მცხოვანი მწერალი ცხოვრობდა (17—18 საუკ.), მაშინ, რა თქმა უნდა, სწორედ ასეთი გზები იქნებოდა, როგორიც მას აქვს დახასიათებული: „ზომიერ კაცთა სავალი“ „ვიწრო“, „თოვლთა ზედა გატკეპნილია“, „კლდეთა ზედა ვიწრო“ და სხვა.

მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მას შემდეგ და ეხლაც ასეთი გზები ჩვენში მეტია, ვიდრე „შარა—ვრცელი“.

**„მიეცი ნიჭსა გზა ფართო“**, —ამბობს პოეტი გრ. ორბელიანი.

მართალია, ის მხოლოდ ამბობდა, ზოგიერთ ჩვენი გზების მუშაკებსავით, მაგრამ ცხოვრებაში ამას არ ატარებდა (თავის ნათესავ პოეტ ნ. ბარათაშვილს დახმარება ვერ აღმოუჩინა), როგორც არ ატარებს დაპირებებს ამიერ - კავკასიის გზატკეცილების ზოგიერთი დაწესებულებები, რომლებიც დახმარებას არ უჩენენ ადგილებს გზების კეთებაში.

მაშასადამე ნიჭისთვის ფართო გზა ყოფილა საჭირო; ხოლო ფართო გზისათვის კი საჭიროა ნაკლები სიტყვები და მეტი საქმე.

**„ჯითა გზებს სამმართველოს**
**და გამოცდის შარა გრძელი.**
**გზის ოსტატსა—გზის კეთება,**
**ხიდებზე — სქელი ძელი**
**აღმასკომის თავმჯდომარემ**
**შეაკეთოს გზები ძველი...**
**მაშინ ნახეთ ჩვენი გზები**
**განიერი, ფართო, ვრცელი“...** ასე ამბობს რუსთვ.. უკაცრავად—

**ისელი.**

# ახალი სისტემის ტრანსპორტი

ნახ. კროტკოვის



ეს ახალი [illegible] გამოგონილია კოლექტიურად აღმასკომების თავმჯდომარეების მიერ, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ გზების კეთებას. ამ მანქანის უპირატესობა ის არის, რომ მას შეუძლია იფრინოს ჰაერში, იცუროს წყალზე და იაროს ხმელეთზე. ამგვარად, ეს მანქანა აღარ საჭიროებს გზების კეთებას და აღმასკომის თავმჯდომარეებიც თავისუფლდებიან გზების კეთებისაგან.

# უკვდავი ანდაზები

ძღვნად ზოგიერთ აღმასკომების ზარმაც თავმჯდომარეებს.

**„შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო“** (შორი გზის მოვლა მაშინ არის საჭირო, როცა უმოკლესი გზა გაფუჭებულია).

**„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო“** (ურემი გადაბრუნდება გაფუჭებულ გზაზე. „გზა მაშინ გამოჩნდებაო“—ეს იმას ნიშნავს, რომ აღმასკომის თავმჯდომარე ურმის გადაბრუნებამდი ვერ მიხვდა, რომ გზა გაფუჭებული იყო).

**„წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო“** (ე.ი. უხიდო გზაზე, როცა წინა კაცი კისერს მოიტეხს და წაიქცევა, უკანა კაცს შეუძლია პირველი კაცი ხიდის მაგიერ გამოიყენოს და მის ზურგზე უვნებლად გავიდეს).

**„კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია, ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია“.** (წარმოიდგინეთ ისეთი გზა, რომლის ლაფიდან კამეჩი ურემს ვერ ამოათრევს. შესაძლებელია, კამეჩის მაგიერ აქ თვით აღმასკომის თავმჯდომარეც იგულისხმებოდეს).

**ზანგი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფლის ელექტროფიკაცია

პაპას ედგა წნელის ფაცხა,
ქონის სანთლით ანათებდა,
ეს შეუცვალო ნავთის ჭრაქმა
და ეს იმ დროის ამართლებდა,
რადგან უწინ პაპის მამას
ძირითის კვარი ეპყრა ხელში
და მჭვარტლ-ნარევ მის სინათლით
გზას იკვლევდა ძლივას ბნელში
ბორძიკებდა ფეხი ხშირად,
მოლიპულზე ცურდებოდა,
მაგრამ მეტი გზა და ჩარა
არ იყო, რომც სურვებოდა...
დრომ მოიდინო პაპის მამა,
მამის პაპად ცხონებული,
ჩემი პაპაც მიჰყვა იმას,
იმავ ხვედრს დამონებული..
დარჩა მამა, მაგრამ „ჭამა
არც მას ჰქონდა უკეთესი".
ნავთის ლამპას ვერ გამოდა
ვერც ის ვერც მთლად სოფლის წესი!
აბა ეს რაა? ედგა სოფელს
ერთად ერთი წყალ-წისქვილი,
და თუმც სიმინდს მოიწევდა,
ნატვრად ჰქონდა მჭადის ფქვილი!..
რადგან წისქვილს ღარში წყალი
ხან აკლდა, ხან ედგა ჭარბად,
და დოლაბი, დღეს მბრუნავი,
ხვალ კი იდგა გულის დამბლად!
და ეყარა სოფლის ხალხი
საწისქვილე რუს თუ თხრილში
და ბრუნავდა მამის ყოფნაც
ამ საერთო დღეთა ცხრილში..
სანამ ისიც არ მოიდინო
უთანასწორო ხვედრთან ბრძოლამ
და ოჯახის მესვეურად
მე არ დამსვა დროთა სრბოლამ..
ახლა... მაგრამ ჩვენ, იმ ყოფას
დაქსაქსულს და დახეტყვილსა
მხნედ შევებით და არსად სულ
შევუცვალეთ წყალ-წისქვილსა..
მთლად მდინარე ანარქისტი
გადავტიხრეთ შავზე ტინით,
უკან სვლა თვით არ შეეძლო,
არ მიეცით ჩვენც გზა წინით...
და ვუკარით თავი არხში,
ტურბინებში გავაძვრინეთ,
დავწვით წყალი და ამგვარად
წყლისგან ცეცხლი გავაჩინეთ!..
დავწვით წყალი!.. არ გეგონოთ,
რომ წყალს ცეცხლი წავუკიდეთ,
ელნაკადით გარდავქმენით და სინემში გა
უკიდეთ..
და ქოხებში, სადაც ნავთი
აბოლებდა ლამპის შუშებს, სიმაისთ ვარ
დებივით,
ხედავთ, დასხმულთ ელმაშუქებს!
ცოტა ზევით, სადაც უწინ
წყალ-წისქვილი სიმინდს ღერღდა,
სხვა შენობა უდგას სოფელს,
იქ სხვა ჩარხი აუღელდა
ეს კიდეც ფქავს, როცა ჩარხი
მოედება დოლაბს ფეხზე,
და ხე-ტყესაც ნალხს უმზადებს,
რომ გადიტანს ღვედებს ხერხზე.

და როდესაც სალეწს მოსდებს
იმავ ღვედებს იგივ ჩარხი,
ძნეზსა ნთაქვს და მარცვალს არკიებს
და ფუსფუსებს ირგვლივ ხალხი...
ხალხი სოფლის მადლიერი
ამ წესის და ამ დროების,
რასაც ჰქვია დიქტატურა
მშრომელთა და საბჭოების...
როცა ხალხი, მშრომელი და
დაჩაგრული ადრე ძველად,
იმ ჩაგვრისაგან გამოვიდა
და დღეს ალსდგა იგი მთელად.
დაქსაქსული ქედს რომ ზნიქდა
წყალ-წისქვილის ვიწრო არხში,
დღეს შეჯგუფდა კოლექტივად
და ხსნას ჰპოვებს ელვის-ჩარხში.
წყალ-წისქვილის ნაცვლად წყალზე
რომ აბრუნებს დღეს ელჭესი,
მამა პაპის კვარს და სანთელს,
ვინც აუგო სოფლად წესი!

ჭაჭირა

# რეიხსტაგის არჩევნები გერმანიაში

ნახ. კროტკოვის



# როგორ შეჭამა მიწა საბჭოს თავმჯდომარემ

სტალინისის რაიონში საციხურის საბჭოს აქვს თავისი ტერიტორია. საბჭოს ჰყავს ჩვეულებისამებრ თავისი თავმჯდომარე. თავმჯდომარეც არის და თავმჯდომარეც. ზოგი არაფერს ჭამს, ზოგი ზედმეტ ჭამს, ზოგი კიდევ ფულს ჭამს, ზოგი—პურს, ზოგი ძროხის ხორცს, ზოგიც ცხვრის ხორცს, ზოგი შემწვარ წიწილას, მაგრამ არიან თურმე ისეთი თავმჯდომარეებიც რომლებიც მიწასაც ჭამენ.

არა, არც ისე უბრალოდ ხდება ყველაფერი ეს. ყველაფერს თავისი გამართლება აქვს. ზოგს მადააშლილობა აქვს, ზოგს კუჭის სიგანიერე, ზოგს კიდევ ზედმეტი პატიოსნება სჭირს, ზოგს შეგნებული აქვს თავისი მოწოდება, ზოგი ჩხირკედელაობს, რომ თავი დაიფასოს, ზოგს თავისი ქურქის ინტერესები მეტად ულირს, ვინემ პარტიის დირექტივა, პარტიის გენერალური ხაზი და სხვა.

საციხურის საბჭოს თავმჯდომარეს რაღაც არაჩვეულებრივი დაემართა წელს. და ეს დაემართა სწორედ მაშინ, როცა გახურებული პურის დამზადება სწარმოებს, როცა წითელი ქარავნები ჟივილ-ხივილით მიემართებიან წითელ ბეღლებისაკენ. რომ მთავრობას ჩააბარონ (მიჰყიდონ) პური.

როგორც მოგეხსენებათ, მცირე ფართობიანი, ანუ მცირე მოსავლიანი სოფლის საბჭოები თავისუფალი არიან პურის დამზადებისაგან.

ეს კარგად იცოდა საციხურის სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ, რომლის გვარს აქ არ დავასახელებთ, რადგან ისედაც მოსძებნიან, ვინც დაინტერესდება და ვინც ვალდებულია დაინტერესდეს.

ჰო, და აი ამ კაცმა შეჭამა მიწა და არ იკითხავთ რამდენი? მთელი ათას ხუთასი (კიდევ მეტი) 1522 ჰექტარი მიწა.

როცა პურის დამამზადებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი ჩავიდა საციხურის საბჭოში, მან ასეთი პასუხი მიიღო საბჭოს თავმჯდომარისაგან:

—სად, არის გენაცვალე, დასამზადებელი ან სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პური, თუ აქეთ მოგვაშველებთ პურს, თქვენ იცით, ჩვენ ლარიბ სოფლსაბჭოს კატეგორიას ვეკუთვნით.

—კი, მაგრამ თქვენ ხომ საკმაო პურეული დათესეთ, აკი პატაკშიაც სწერდით თქვენი დიდი მიღწევების შესახებ? ჰკადრეს სოფსაბჭოს თავმჯდომარეს.

—დავთესეთ რაღაც 448 ჰექტარზე.

—კი, მაგრამ აკი თქვენ 2070 ჰექტარი პურეული გქონდათ დათესილი, დანარჩენი რა უყავით?.

—შევჭამე! — ბრაზმორევით უპასუხა სოფსაბჭოს თავმჯდომარემ—

—არ გჯერათ? აი მდივანს ჰკითხეთ. მდივანმაც კვერი დაუკრა თავმჯდომარეს:

—მე ჩემი ხელით გავზომე, 448 ჰექტარს ერთ გოჯიც არ აღემატება პურეულის ნათესი.

დაინტერესებულებმა მაინც არ მოისვენეს. თვითონ გაზომეს ნათესები და სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს აღმოაჩნდა „შეჭმული“ 1522 ჰექტარი მიწა პურეულით დათესილი.

არ ვიცით ამდენი მიწა მან თავისი ნებით ჩაყლაპა, თუ კულაკებმა ჩააყლაპინეს. (

ალბათ ამას შესაფერი ორგანოები გამოარკვევენ.

**სეფეირ - ბინ - შეიხ.**

---

# „იდგნენ და ელოდნენ“

„იდგნენ და ელოდნენ“...
ასე თქვა ვაჟამ მთების შესახებ.
მთებისთვის ეს მართლაც ზედგამოჭრილია, მაგრამ სხვა რამეებს
ეს გამოთქმა ხშირად არ უდგება.

მაგალითად:

მოსავლის აღების მოსამზადებელ პერიოდში, როცა ყველაფერი, რაც ამ მუშაობისათვის არის საჭირო, უნდა ყოფილიყო მოყვანილი საბრძოლო წესრიგში —

**„იდგნენ და ელოდნენ“** (ჩვენ ვგულისხმობთ სამკალ და სალეწ მანქანებს სოფელ სიამტკბეთის კოლექტივში, რომლებიც გარეთ, ცის ქვეშ ეყარენ და შეკეთებას ელოდენ).

მოსავლის დაწყებისას, როცა მთელი ვამწევი ძალა მინდვრად უნდა გასულიყო—.

**„იდგნენ და ელოდნენ“** (იგულისხმება სიამტკბეთის კოლექტივის დამშეული ხარები.

მოსავლის აღების გაცხარებულ პერიოდში, როცა საჭირო იყო ოპერატიული მუშაობა, ბრიგადის წევრების. საათობით —

**„იდგნენ და ელოდნენ“** (ბრიგადისაგან განაწესის მიღებას მუშაობის დასაწყებათ).

მოსავლის აღების სანახევროდ დამთავრებისას, როცა უკვე შეიძლებოდა ნატურალური ავანსების დარიგება. კოლექტივის „უბრალო“ წევრები მთელი დღეობით—

**„იდგნენ და ელოდნენ“** (ამაოდ—ავანსების მიღებას თავიანთი ნამუშევარის ანგარიშში).

პურის დამზადების და ჩაბარების მოლოდინში დაშორებული სოფლის გზები თვეობით —

**„იდგნენ და ელოდნენ“** (შეკეთებას, რომელიც არც კი დაწყებულა და მაშასადამე ვერც დამთავრდებოდა).

ამავე მიზეზით იყო, რომ პურით დატვირთული და ტალახში ჩაფლული ურმები დილიდან საღამომდე —

**„იდგნენ და ელოდნენ“** (როდის გამოიდარებდა, რომ ტალახი თვითდინების წესით ამოშრალიყო და ურმებიც გაენთავისუფლებია).

კოლექტივის ასეთი „მუშაობით“ გახარებული კულაკები და მათი დამქაშები დეკადობით —

**„იდგნენ და ელოდნენ“** (თუ როდის დაინგრეოდა სიამტკბეთის კოლექტივი).

და ბოლოს, კოლექტივის წევრთა საერთო კრების შენობის მოშორებით.—

**„იდგნენ და ელოდნენ“** ( ეს უკვე კოლექტივის გადაყენებული თავმჯდომარე და მისი მოადგილე, თუ რა მსჯავრს გამოუტანდა მათ კოლექტივის წევრთა საერთო კრება).

**ალლაჰ-ალლარსან.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ფიცის გატეხა“

## სცენა „საქართველოს ჩაის“ სამმართველოში

**მოქმედნი:**

**სიმონ ჯუღელი**—ტრესტის დირექტორი,
**აკაკი მამფორია**—საქმის მმართველი.
**სანდრო ეული,**
**ნიკო მიწიშვილი**
საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის წარმომადგენლნი.
აფრასიონ უქმაჭმელიძე,
ონისიმე თავქარიაშვილი.

აკაკი—(სიმონ ჯუღელს **მოხსენებას** უკეთებს) მოქალაქე აფრასიონ უქმაჭმელიძე თხოულობს სამ-ათას მანეთს დასვენებისათვის (კითხულობს უქმაჭმელიძის განცხადებას).

**სიმონ:—(შეაწყვეტიებს)** კმარა. ჩვენ აქ ოფლში ვიწურებით და ვინმე უქმაჭმელიძეს ვაძლიოთ დასვენებისათვის! არა, ერთი მითხარით, **რა** უფლებით თხოულობს? ვინ არის? რა გაუკეთებია ჩვენთვის?

**აკაკი** —განცხადებაში ასე სწერია (კითხულობს):—„ქართველი გახლავართ... ოცდახუთი წელი მიცხოვრია, რითაც დიდი დამსახურება მაქვს ქვეყნის წინაშე... ეხლა მე მოვითხოვ **„საქართველოს** ჩაი“-საგან, რომელსაც ბევრი ფულები აქვს, მომცეს სამი ათასი მანეთი, რაც საშუალებას მომცემს კისლავოდსკში წავიდე და ცოტა დავისვენო. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ არ მოინდომებთ ჩემს დარჩენას თბილისში ამ სიცხე-პაპანაქების დროს“.

**სიმონ**—(შეაწყვეტიებს),—კმარა. კატეგორიული უარი ეთქვას. ვიღაც გიჟი უნდა იყოს. მე დავიფიცე და ჩემს ფიცს არ გავტეხ, რომ „საქ. ჩაის“ ძველი ხელმძღვანელების შეცდომებს არ განვიმეორებ. ყველას აძლევდენ ფულებს და ანგარიშს არავის სთხოვდენ.

**აკაკი:**—შემდეგი განცხადება ეკუთვნის ვინმე მოქალაქე ონისიმე თავქარიანაშვილს, რომელიც რამდენიმე დღეა კარებზეა ატუზული და მოითხოვს პასუხს. თავქარიანაშვილი თხოულობს იმ თანხის ანგარიშში, რომელიც „საქართველოს ჩაიმ“ უნდა გაიღოს მისი აზრით მისი იუბილეის მოწყობისათვის ორი ათას მანეთის რაოდენობით.

**სიმონ** (აღშფოთებით):—ამხანაგო აკაკი, მე თქვენ გთხოვთ ასეთ განცხადებებს ნუ მიიღებთ და თუ მიიღოთ თვითონვე უარით უპასუხოთ. დე, ყველამ იცოდეს, რომ „საქართველოს ჩაი“ მეწველე ძროხა არაა, რომ ყველა მას წველიდეს. ფიცი დავდე, რომ ძველი ხელმძღვანელობის შეცდომა არ განვიმეორო.

აკაკი (ხვეწნით)—ამხანაგო სიმონ, თქვენ დააწერეთ რეზოლიუცია, თქვენ უთხარით უარი, თორემ მაგ გიჟს ვერ გადავურჩები. (კარი გაიღება და შემოდის თავქარიანაშვილი).

**სიმონ** (თავქარიანაშვილს)—რა გნებავთ, მოქალაქე?

**აკაკი** (სიმონს)—ამხანაგო სიმონ, ფრთხილად, ის არის.

**თავქარიანაშვილი:**—მე ონისიმე თავქარიანაშვილი გახლავარ.

**სიმონ:**—რა გნებავთ, ამხანაგო?

**თავქარიანაშვილი:**—ერთი კვირაა განცხადება მაქვს შემოტანილი, თქვენ აქ არ ცყავით.. მითხრეს—რაიონშია წასული.. ეს თქვენი ნებაა, გინდა რაიონებში იარენით, გინდათ თბილისში. მე მინდა პასუხი მივიღო: აკმაყოფილებთ თუ არა ჩემს სამართლიან მოთხოვნილებას? რა მოხდა კაცო, რაღაც ორი ათასი მანეთი მინდა და დღეში ხუთჯერ უნდა მოვიდე.. სწორედ ეს არის ბიუროკრატობა... და ეს ხდება თქვენი აქ მოსვლის შემდეგ... წინად ასეთ ბიუროკრატობას ადგილი არ ჰქონდა... განცხადებას მოვიტანდი თუ არა, ფულები მზად იყო.. გთხოვთ მომცეთ და გამიშვათ. ხომ გაგიგონიათ: „დრო ფულიაო“..

**სიმონ:**—ამხანაგო, თქვენ მართალი ხართ, თქვენს საქმეში შეიძლება ბიუროკრატობა გამოვიჩინე, პასუხი დაგიგვიანეთ ჩემი აქ არ ყოფნის გამო, მაგრამ თქვენს თხოვნას მაინც ვერ ვაკმაყოფილებ... ფულები არა გვაქვს.

**თავქარიანაშვილი:**—რაო! „საქართველოს ჩაის“ ფულები არ აქვს? ბნელა! ვის ატყუილებთ? განა შეიძლება პატიოსან მოქალაქეების მოტყუილება?

**სიმონ:**—ამხანაგო, გთხოვთ ნუ ხმაურობთ. მიბრძანდით იმ ოთახში და მიიღებთ..

**თავქარიანაშვილი** (გახარებული):—ასე გეთქვა შენ კაი კაცო... რაღას მაჯავრებდი! ნეტავ რამდენს მივიღებ. (გადის მეორე ოთახში).

**სიმონ** (მიმავალ თავქარიანაშვილს):—მიიღებთ პასუხს... (აკაკის) თუ ძმა ხარ, მიხსენ ასეთ ხალხისაგან, განცხადება გააკარი, რომ არავის არავითარ დახმარებას არ ვაძლევთ.

**აკაკი:** — ამხანაგო სიმონ, ჩვეულები არიან ჩვენგან ფულების მიღებას.

**სიმონ:**—საქმეც იმაშია, რომ დაჩვეული არიან და ჩვენ უნდა ისინი გადავაჩვიოთ. ხუმრობაა—ნახევარი მილიონი ფული გაუტანიათ ძველი ხელმძღვანელობის დროს. ეს სისხლის სამართლის დანაშაულობაა. (კარი გაიღება შემოდიან სანდრო ეული და ნიკო მიწიშვილი).

**სიმონ** (გაკვირვებით და ღიმილით): — თქვენ ჩემთან გაქვთ საქმე? პოეტები ხომ ჩვენ, „საქართველოს ჩაის“ ვერაფერში დაგვეხმარებიან!

**ნიკო:**—სამაგიეროთ თქვენ დაეხმარებით მათ.

**სიმონ:**—არაფერი გამოვა. ფიცს არ გავტეხ.

**სანდრო:**—ამხანაგო სიმონ, ჩვენ მოვედით დაგეხმაროთ, თქვენ ინებეთ და წაიკითხეთ (გადასცემს კავშირის მიმართვას ჩაის რაიონებში რამდენიმე მწერლის გაგზავნის შესახებ).

**ნიკო** (სიმონს)—ამხანაგი სანდრო მართალია..

**სიმონ:**—მე თქვენი ვერაფერი გავიგე..

აკაკი:—პოეტების გაგება ძნელია.

**სიმონ:**—თქვენ მითვლით რმდენიმე მწერალი გავაგზავნეთ რაიონებში. წავიდენ.. მე რა შუაში ვარ? რაიონების მისამართს მოგცემთ.

**ნიკო:**—დიახ, უნდა წავიდენ, დასწერენ ჩაის მეურნეობის შესახებ. მწერლებიც გაეცნობიან თქვენს მუშაობას, და თავიანთი ნაწარმოებებით ქვეყანასაც გააცნობენ—რას აკეთებთ თქვენ. რა მდგომარეობაშია ჩაის სოციალისტური ქვეყნის მშენებლობა.

**სიმონ:**—ჰო, ეს სხვა საქმეა. ამისათვის შეიძლება შეგიწყოთ ხელი, დაგეხმაროთ. მაგრამ ვინ არის პასუხისმგებელი, რომ ეს კარგი საქმე გაკეთდება?

**სანდრო:**—
**ნიკო**— ჩვენ მწერალთა კავშირი..

**სიმონ:**—თქვენ? კავშირი? მოშეცით ხელი. (სანდრო და ნიკო ხელს აძლევენ სიმონს ნიშნად თანხმობისა).

**აკაკი** (სიმონს):—თქვენი ფიცი.

**სიმონ:** ამ შემთხვევაში შეიძლება ფიცის გატეხა.. (ყველანი იცინიან. ნიკო და სანდრო მიდიან. სიმონ მწერალთა კავშირის მომართვაზე დააწერს: „გაიგზავნოს ოთხი მწერალი ჩაის რაიონებში ხარჯებს კისრულობს „საქ. ჩაი“. სიმონ ჯუღელი“.

**ქიშვარდი**

ნახ. დონის



# ნიანგი ბათომში

მოულოდნელად დღეს ჩემი კაბინეტის კარები გაიღო და ნიანგი თავისი ცხვირით შიგ შემოეყუდა:



— გამარჯობა, ამხანაგო ობოლო,—მითხრა მან მწყრალად და ყოველგვარ ნებართვის გარეშე მაგიდასთან ჩამოჯდა.—შენ აჭარისტანში რწმუნებულად დაგნიშნე. მეგონა—საკბილოებს ხშირად გამომიგზავნიდი, გეგმა მოცემული გქონდა, მაგრამ შენგან არაფერი ჩანს, რაშია საქმე?

— ამხანაგო ნიანგო, თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ არსებობენ ობიექტიური პირობები...

— არავითარი „ობიექტიური“,—შემაწყვეტინა მან

— კი, მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ აქ, აჭარისტანში, სულ სხვა პირობებია? ამას გარდა, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ საკბილოები აქ სულ არ იშოვებიან. ერთი სიტყვით, აქ ყველგან რიგზეა საქმე—ვუპასუხე მე.

— მაშ კარგი,—დაიწყო მან.—მიპასუხე შეკითხვებზე როგორაა საკოლმეურნეო ბაზრის საქმე?

— ბაზრის? რასაკვირველია, ბაზარი არსებობს, კოლმეურნეებს ჩამოაქვთ ყველაფერი და თავისუფლად ყიდულობენ გადამყიდველებიც.

— მერე ეს არაა ჩემი საკბილო?—იყვირა ნიანგმა.

— ეს რა საკბილოა, ამხანაგო ნიანგო! ვაჭრობა ყველასათვის თავისუფალია და, მაშასადამე, უფლება აქვთ გადამყიდველებსაც იყიდონ.

— კოოპერაცია რა ზომებს იღებს ბაზრის სამრეწველო საქონლით მოსამარაგებლად?

— კოოპერაციამ ბაზარზე გაიტანა სადღესო საქონელი, კბილის პარაშოკები, ჩოთქები, პუდრი, პომადები, და სხვა ამგვარი ნივთები.

— ეგლა კეთილ ინებე და ჩამომატარე შენი სარწმუნებულო.—მითხრა მან და წამოდგა. წამოვდექი მეც და ორივე გამოვედით ქუჩაში.

— სად მიბრძანებთ წაყვანას?—შევეკითხე მორიდებით.

— საკურორტო სამმართველოში.

ჩავფიქრდი; შუბლზე თითი მივიდე და გავიფიქრე.

— რა იყო? რა მოგივიდა?—შემეკითხა ნიანგი.—ნუ თუ არ იცი სად არის საკურორტო სამმართველო?

— თქვენ, რომ გგონიათ იქ არ არის.

—მაშ სად იქნება?

— ეს ამოცანაა, რომელზედაც წელან ვფიქრობდი.

— ნუ თუ ასეთი წესია აქ?

— რასაკვირველია, ჩვენში დაწესებულების გადახალისების მიზნით მიღებულია მათი გადატან-გადმოტანა. მაგალითად, დღეს მიხვალთ ფინსახკომში, ზეგ იქ მიწსახკომი დაგიხვდება, მიხვალთ მიწსახკომში, ხვალ ჯანსახკომი დაგიხვდება და ასე შემდეგ. ეს წესი გავრცელებულია კლუბებზედაც; მაგალითად მუშათა ახალ კლუბს ორი წლით ერთ ადგილას დგომის უფლება აქვს, მეტის ნებას არ აძლევენ. ეს იმიტომ, რომ კულტმუშაობა არ გაძლიერდეს ერთ ადგილას და წრეების რიცხვიც არ გაიზარდოს. ხშირად ასე ხდება ხოლმე: როცა რომელიმე დაწესებულების თავმჯდომარე და მისი მოადგილე სხვა შენობაში გადასვლას ვერ ახერხებენ, კაბინეტებს ცვლიან და კანცელარია ერთი ოთახიდან მეორეში გადააქვთ.

კოოპერატივიც ახდენს ამ ბოლო დროს ასეთ ცდებს: დღის გახსნის საბაკალეინო სავაჭროს, გააკეთებს თაროებს, ჩასვამს მუშებს, შეღებავს, გაამშვენიერებს და მეორე დღეს, როცა კალათით ხელში სასყიდლად შიგ შეხვალ, საშაქარლამო ან სტყასბო დაგიხვდებათ.

— აბა, თქვენი კვების საკითხი გავიცნოთ—მითხრა ნიანგმა და პირი საშინლად დააღო.

— ალბათ აუწრიალდა კუჭი,—ვიფიქრე მე და ერთ სასადილოში შევიყვანე, რომელიც ინტერნაციონალის ქუჩაზეა მოთავსებული.

— სადილი გაქვთ?—იკითხა ნიანგმა.

— ათ წუთში იქნება!—გვიპასუხა მოსამსახურემ.

ჩვენ ერთი საათი ველოდეთ ათი წუთის ნაცვლად.

— შენ თუ იცი, რამდენი ასეთი პური უნდა შესჭამოს კაცმა, რომ იგრძნოს კუჭში პურის არსებობა?—შემეკითხა ნიანგი, როცა ორი ნათალი პური მოგვართვეს სუფრაზე.

— დაახლოებით შვიდი, რვა, ან უფრო მეტი.

ნიანგმა ლუდი მოითხოვა, მაგრამ მოსამსახურე ქალმა წინასწარ განაცხადა, რომ ლუდის გახსნა ასეთ ხიცხეში საფრთხილოა, ვინაიდან ცხელი ლუდი მხოლოდ აქაფდება და ქილაში მისი მოთავსება შეუძლებელი გახდება.“ ჩვენც დავეთანხმეთ. წყალი, რომელიც მან მოგვიტანა, შეფერილი იყო, მაგრამ უფრო ჭუჭყისაგან, ვიდრე სხვა წვენისაგან. ჩვენი საჭმელი მოსამსახურეებსავით უმარილო იყო.

როგორც ვიცით ბალახი ძალიან უხდება კუჭს (ოთხფეხას) და ამიტომ კომპოტიც ნახევრად მოხარშული იყო.

ნიანგს ძალიან მოეწონა ყველაფერი და არამც თუ სადილი, სასადილოს გამგეც კინაღამ ჩასანსლა.

— როგორც ჩანს შენს სარწმუნებულოში ბევრ სიმახინჯეს აქვს ადგილი. ხვალ სხვა დაწესებულებები დავათვალიეროთ!—მითხრა ნიანგმა სასადილოდან გამოსვლისას.

სხვა ამბები შემდეგ.

პ. ობოლი.

# მეტი ყურადღება გარეუბნებს

ნახ. კროტკოვის



რომ არ გვწყალობ, — ცოდვა არ ვართ?
ჩვენზე გული რად იცვალე?
მოდი, მოდი, გენაცვალე,
შეგვაკეთე დღეს ან ხვალე.

# მწერალი კობულეთში

ნ. ალდადაროვასი



— ამბობენ, რომ ჩემს ნაწერებში მარილი არ არის.. ზღვის წყალი მარილიანია:.. ამ რომანში ხომ ბევრი იქნება მარილი.



# ტფილისი—კოჯორი—ტფილისი

— ძირს ჩამოხვალ თუ არა!—იმუქრება შოფერი.

— რათ უნდა ჩამოვიდე, ამხანაგო? თქვენმა მოლარემ ჩვენ რიგში მდგომ ხალხს გამოუცხადა, რომ მანქანაზე გაყიდდა ბილეთებს. ჩვენც მანქანაზე დავიკავეთ ადგილი და ეხლა რათ უნდა ჩამოვიდეთ? გთხოვთ ბილეთი მოგვეცით. ჩვენ ძირს ვერ ჩამოვალთ, დილის 6 საათიდან რიგში ვდგევართ, ხუმრობა ხომ არ არის!

— ბილეთები უკვე გაიყიდა, მე არაფერი არ ვიცი. ჩამოხვალთ თუ არა?

— არა, ჩვენ ცოტანი კი არ ვართ, ათი კაცი ვართ.

— არა და მე ვიცი თქვენი პატივისცემა. მანქანას ეხლავ გარაჟში წავიყვან და იმდენს გცემთ, რომ ნიყრებივით გაგიხდით მაგ ცხვირებს!—ბრაზობს შოფერი.

რასაკვირველია, ნიყვი კარგია, მაგრამ მეწყიარი, და არა ცხვირად. ამიტომ მგზავრები [illegible] ისევ ცხვირმთელები დარჩნენ ტფილისში.

როგორ გგონიათ სად ხდება ეს ამბავი? არც ისე შორს, თავისუფლების მოედანზე „სოიუზტრანსის" სადგურის წინ.

ვინ არის ეს გოლიათი, რომელიც ათ კაცს უპირებს ცხვირების გასიებას? ეს გახლავთ დათიკო ტომარაძე.

### „ბიუკი"—20 „ფორდი"—10

მკითხველმა ალბათ თვითონაც იცის, რომ „სოიუზტრანს"-ის გადაკიდებას სჯობია საკუთარი ფეხებით დღეში საჯერ მოიარო კოჯორი, ან სხვა რომელიმე აგარაკი, რადგან.

მთელი დღით რიგში დგომითა,
მგზავრებს წაუღით გულია,
ვერ ეღირსები ბილეთსა,
ბევრიც რომ გქონდეს ფულია,

მაგრამ უკაცრავად, ერთი შესწორება... ბევრი ფული თუ გაქვთ თქვენთვის მუდამ მზად არის „ბიუკი", „კადილაკი", „პაკარდი", და სხვა ფირმების მანქანები

კეთილი ინებეთ და მობრძანდით „სოიუზტრანსის" მიდამოებს, გაიარეთ სოლოლაკისაკენ, იქ ქუჩების გადასახვევში უსათუოდ იშოვით საუკეთესო მანქანებს.

— თითო სული 30 მანეთი. 7 კაცი თვითონ თქვენ უნდა მოაგროვოთ- გვეაჭრება შოფერი.

—ექვსი კაცი ვართ, თუ ძმა ხარ 20—20 მანეთად წაგვიყვანე თითო.

— არ შემიძლია. „ფორდი" კი არ არის ჩემი მანქანა, „პაკარდია", ნაკლებ არ იქნება.

— ავალიანის პურლვინით ასათიანი აცხონოს ღმერთმაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი!—ოხუნჯობს ერთი თანამგზავრთაგანი.

— რას იზამთ. უნდა მივცეთ.—და ჩვენც საუკეთესო მანქანით კოჯრისაკენ მივქროლავთ.

### „სასწრაფო დახმარება"

— რა გიკვირთ არ ვიცი,—მეუბნება თანამგზავრი,—ამას წინად „სასწრაფო დახმარების" ავტომობილით გიახელით კოჯორში.

— ალბად საქმეზე, ავადმყოფთან გამოგიძახეს. თქვენ ექიმი ბრძანდებით—შევეკითხე მას, რადგან მე იგი ექიმი მეგონა.

— არა, მე ქალაქის სასაკლაოზე ვმსახურობ, კოჯორში ცოლშვილი მყავს, იმათთან მივდიოდი. „სოიუზტრანსში" ბილეთები სულ უკანიდან გაჰყიდეს, ჩვენ არ შეგვხვდა, მეც ამაღლების ქუჩაზე წავედი, იქ ხომ სახაზინო ავტომობილების ბირჟაა, იქ უფრო ადვილი საშოვნელია ადგილი.. ჰოდა, მოვიდა წითელი ჯვრის „სასწრაფო დახმარების" ავტომობილი, და 10—10 მანეთად წაგვიყვანა რამდენიმე სული.

### ხუთი, ათი, ხუთმეტი, ნაკლები არა ფერი

—თავადო, თავადო.. ერთი ბილეთი ჩემთვის არ დაგავიწყდეს.

— მომეცით ათი ბილეთი.

— ხუთიც მე.

— ჩვენთვის ადგილები უნდა იყოს; ხუთნი ვიქნებით.— ასეთი ლაპარაკი ისმის კოჯორში „სოიუზტრანსის" კოლოფას მსგავს სალაროს უკან, ხოლო წინ კი მოლარე აცხადებს:

— ამ მანქანაზე მხოლოდ ერთი ადგილია.

სალაროც იხურება.

რიგში მდგომი მგზავრები კი.. ასევ დგანან, როგორც დილით.

და ისევ იწყება „ბიუკის", „პაკარდის და „კადილაკის" ამბები. ისევ სახაზინო ავტოთა ბირჟისაკენ გარბის ხალხი, რომ მისცეს ოცი მანეთი და ტფილისში დაბრუნდეს.

როდის ვეღირსებით კეროზას, იგი მოუღებს ბოლოს შოფერების ბოროტმოქმედებას და სპეკულიაციას სახაზინო მანქანებით.

**შორეული**

# ნიანგური ჩვენი სოფლის შარა-გზებზე

## ცოდვილი გზა

ცხუნკურის თემმა გადასწყვიტა წყალტუბომდი შარა-გზის გაყვანა. გაიჭრა ბევრი ბალი და ყანა. ყველამ წერაქვი აიღო ხელში. ეს იყო 1925 წელში. სიხარულიდან ღელავდა მასსა. ქუთაისიდან ელოდენ ხსნასა, მაგრამ...

რა მოხდა?

აგერ ქუთაისი გამოხტა.

ცხუნკურის თემს მან მიარტყა ჟარი. ლაშხეთისკენ კი გასჭიმა ლარი. ხალხს გაეხარდა—დე იყოს ასე, მალე გავივლით ლაშხეთის გზაზე.

მაგრამ რა მოხდა? 1925 წელში ხული ამოხდა; 1926 წელი მოგვადგა კარზე, და ინჟინრებმა ეს გზა უილბლო, ისევ სხვა ხაზით დაადვეს ლარზე.

ბევრ გლეხს ეტკინა გული და წელი.

გავიდა 1928 წელი. გზას მიწა რომ ეყარა, გამოუარა ნიაღვარმა და თქვენს მტერს გულზე შემოეყარა. რას ხედავს თვალი, კაცი და ქალი, ბიჭი და გოგო? ეს მოხდა, როგორ?

აქ ნიაღვარმა წალეკა გზები, შეწუხდენ ჩვენი დები და ძმები. 1929 წელში კლდეზე და ხრამში გავიდა შარა დიდი და გრძელი. ვის აქ რამდენი ჯაფა ენახა, ზოგსაც რამდენი ოფლი ექცია, ეს გზა მას შემდეგ ობლად დატოვეს. აღარ პატრონობს იმას სექცია.

ძნელ-ოღლი

## მიმართვა ნიანგისადმი

ორ ფრონტზე მებრძოლო ჩანგალით, ხელშია,
მტრების და ორგულის გამწყვეტი წელშია,
ნიანგკორთ რაზმიდან მეც ვაჟკაცურათა
მოგიძღვნი სალამს და ამას გთხოვ ძმურათა:
შარა-გზის ტრანსპორტი უმწეო დღეშია,
არ უშველის ყამირ გზებს ქვიში და ხრეშია....
კოლექტივს არა აქვს კარგი გზა სავალი,
რომ ბაზარს მიუძღვნან სურსათი მრავალი.
**ალმასკომთ არა სურთ ახილონ თვალები,**
**გზათმშენებლობისათვის დარაზმონ ძალები...**
ჯერ მრავალ რაიონს კვლავ სძინავს ტკბილათა
**ზუგდიდი, აბაშა, ჭიათური, დუშეთი**
**ლანჩხუთი, ცაგერი, ან ზემოსვანეთი**
**არც ახალქალაქი, არც ამბროლაური**
ამათგან არ არის სიცოცხლის ხმაური;
**სიღნაღი და გორი ან სტალინისია,**
**ტფილისი** და **ჩხარი** ჩანგალის ღირსია
და ასე მრავალი სხვა რაიონებიც,
მიდიან ჯერ კიდევ ზანტად და ზმორებით...
გზები კი ჩივიან თვალთცრემლთა დინებით:
—გვიშველე ნიანგო, ჩანგალით, კბილებით!

გე—ლი.

## მისაბაძი მაგალითი

(ზუგდიდის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოხსენებიდან)

ამხანაგებო, ჩემს მოხსენებაში მე განსაკუთრებით ხაზი უნდა გაუსვა ჩვენ საგზაო მშენებლობას.

გეგმის შედგენის დროს მხედველობაში გვქონდა საგზაო საკითხის მასიურად დამუშავება მოსახლეობაში. ეს სიძნელეებიც გადავლახეთ და ეხლა თემსაბჭოების თავმჯდომარეებმა უკვე იციან - როდის მოვიდენ ჩემთან ამ საკითხის შესახებ მოსალაპარაკებლად.

მასების ენტუზიაზმის სახით ჩვენ შევსძელით გზების კაპიტალური შეკეთებისათვის მოგვეზიდა ნახევარი ურემი ხრეში, ორი გოდორი ქვა, ერთი მოზრდილი კალათი სილა და აგრეთვე ორი ცალი ძველი ყავარი ბოგირების შესაკეთებლად.

ფესვიანი

## სამტრედიიდან ვანის რაიონში

როგორც იქნა ორი საათის ლოდინის შემდეგ შოფერი კარგად შეზარხოშდა და გაუდექით გზას სამტრედიიდან ვანისაკენ.

ავტო ხშირად ვარდებოდა ორმოებში: ჩვენ კი გადავტრიალდებოდით ჰაერში და მერმე ბრეგვას მოვადენდით ისევ ავტოში. გზაზე ბოგირები იმდენათ მავარი ნაკეთები გამოდგა, რომ ავტოს გავლის მიერ ჰაერში ნავარდობდა ფიცრები.

**ტობანიერს** რომ გავცილდით, გზაში ერთ ახალგაზრდა კაცს დავეწიეთ. იგი თავჩაღუნული მტკიცეთ მიაბიჯებდა.

—ეს ახალგაზრდა ინჟინერი ყანჩაველია, ხიდების მშენებელი,—გადმომილაპარაკა ჩემს გვერდზე მჯდომმა მგზავრმა,—ვანამდე ოთხი კილომეტრია და ეს კაცი მუდამ დღე ასე დადის, რადგან კანტორა ვანში აქვს და ხიდებს კი სამ ადგილას აშენებს და ყველგან ფეხით სიარული უხდება.

— რატომ რაიაღმასკომი არ აძლევს დღეში 20—30 კილომეტრის გავლა უხდება თემებში გზების სამუშაოების დასათვალიერებლად და სულ ფეხით დადის. მომარაგებაში არ არის ეს ხალხი შეყვანილი.

როგორც იყო მივაღწიეთ ვანს. წითელ ცხენზე მჯდომარე ვანის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბერიკაშვილმა ვაჟკაცურად შემოაჭენა ცხენი აღმასკომის ეზოში.

როგორ მიდის საგზაო მშენებლობა თქვენს რაიონში, ან როგორ იყენებთ მოსახლეობის შრომითი მონაწილეობას?—შევეკითხე თავმჯდომარეს.

დიდებულად, ამხანაგო; თუ შარშან არ შესრულდა გეგმა, ეს **ობიექტიური** მიზეზებით იყო გამოწვეული. წელს პირველ ოქტომბრისათვის აუცილებლად მოვათავებთ. ეხლა აგვისტოა, ჩვენი წლიური გეგმის თუმცა მხოლოდ 7 პროცენტი არის შესრულებული, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი დროა წინ და ხალხს სულ ჰერეხებით დავასხვ გზას.



ნახ. ქოქიაშვილის

**ალმასკომის თავ.-რ.** — გადაიტანეთ სასამართლოს ეს ნივთები და სამაგიეროდ ყველას განთავისუფლებთ გზის ბეგარისაგან!

ბული, შუბლზე ოფლი ნიაღვარივით ჩამოსდიოდა...

— რაცაა საქმე?—რიხიანად შეეკითხა თავმჯდომარე.

— სამი სოფელი შემოვირბინე ფეხით და გადავეცი საღწყებო ბლანკები.

— ამ ტეხნიკს, რომ დაარბენიებთ ასეთ საქმეებზე და ისიც ფეხით, განა მას სხვა საქმეები არა აქვს?

მაგრამ ჩემი შეკითხვა განზე ისროლა თავმჯდომარემ და ისევ შევეკითხე:

— საგზაო მშენებლობაში იყო თუ არა მასიური ახსნა-განმარტებითი მუშაობა წარმოებული? იყო თუ არა საკითხი დასმული და დამუშავებული კოლმეურნეობებში? არის თუ არა ჩაბმული სხვადასხვა ორგანიზაციები, როგორიცაა კომკავშირი, პროფკავშირი, პრესა, რაიკოლხოზკავშირი და სხვა მასიურ მუშაობის საწარმოებლად?

— ასეთები არაფერი გვიწარმოებია. მაგრამ საქმეს მაინც არ გავაფუჭებთ და სხვა რაიონებს მაინც გადავუსწრებთ.

— როდის-ღა, როცა სხვა რაიონებმა შაგალითად ლიუქსემბურგის რაიონმა უკვე 101 პროც. შეასრულა წლიური გეგმა და ზოგიერთმა 50—70 პროცენტი. თავმჯდომარემ.

სამი დღის შემდეგ უკან მივდიოდი ეტლით, რადგან ცოტა წვიმის გამო ავტომ შეაჩერა გულისცემა. გახარებულმა მეეტლემ (კონკურენტი აღარ ყავდა) თუმნის მაგიერ ოცდახუთი მან. ჩაიდვა ჯიბეში თითეული მგზავრიდან. იგი ღიღინით მიერეკებოდა ჯახრიკა ცხენებს სამტრედიისაკენ.

წყეული

## ტელეფონთან

წკრრრ... ამბროლაური.... ჰა, არ გესმისთ, კაცო?.. მომეცი კაცო რაიალმასკომი...

[illegible] მოსული, თქვენი გზების დასათვალიერებლათ და თუ კაცი ხარ მითხარი, რომელი გზით შეიძლება თქვენს რაიონში შემოსვლა?

ჰა... არც ერთი გზით... რათა კაცო?.. ყველა გზები გაფუჭებულია?. თუ გზებზე ვერ გამოვალ, რაფერ დავათვალიერო... ჰაეროპლანით?.. რას მასხრობ კაცო?! მაშ სულ მივავიწყდათ გზების საქმე?.. წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 0 პროცენტით? კაი დაგემართოს! ალბათ პირველ ჯილდოს თქვენი რაიონი მიიღებს.

## სიზმარი

(სტალინისის რაიაღმასკომის თავმჯდომარის ცხოვრებაშვილისა

დღისისთ მოქანცულს ცუდათ ჯდომითა,
ღამით ვიხილე სიზმარი ტკბილი..,
ვნახე ამ ჩემი უსაქმობითა
მოშუშებული გზების ტკივილი!.,
ვითომ ტალახი ამომშრალიყო,
ქვაფენილებით მოგვერთო არე!.,
მაღლით ურმები გადმომდგარიყო
ერეკებოდენ გულჩვილად ხარებს..
ასი პროცენტით გეგმა წლიური
შესრულებული გვერდზე მეჯინა;
სული ბორგავდა დინამიური,
რადგან ჩემს გარდა ყველას ეძინა..
ქურდაძისაგან დეპეშა ჩქარი
მივიღე მწერდა: „ჩამოდი მალე,
ველოსიპედი შენთვის მზად არი
მიიღე ჯილდოთ რადგან იწვალე“!!.
გამოვეღვიძა.. სიცხადე მწარი!!.
თავი მეგონა მწვანე ბალახში;
ლაფში იხრჩობა ურემი, ხარი
და თვით მეურმეც ცურავს ტალახში!!.

ს. ბაბლიკ

## სამტრედია

ჰა ვეწვიეთ ბრიგადა,
რომ გვენახა გზებია...
თურმე ტეხნიკს ფეხები
ისე განაზებია,
რომ თემებს და სოფლებში
წასვლა დაზარებია...
ყურადღება გზებისა
საფლავს მიბარებია...
გზები ისე წამხდარა
არსად არის სავალი;
იფლებიან ტახალში
მგზავრები იქ მავალი...

თავმჯდომარე **სტურუას**
ძინავს ტკბილი ძილითა...
გზის სექციის გამგეცა
თავს იყოლებს ხილითა.
გზის შენება გეგმის მხრით
ერთ პროცენტს არ აჭარბებს.
გზებო... თქვენზე ფიქრები
ჯერ არავის ადარდებს...
მოიმარჯვე ნიანგო,
მძლე ჩანგალი ხელშია,
გზის შენების ხელთშემშლელთ
გაუყაროთ წელშია...

უხილავი.

## სიმღერა

### სიღნაღის რაიონის გლეხებს

ჰარუ ჰარალო ვარალო...
გასწიე ხარო წინაო;
დღეს ბაზარს ველარ მივაღწევთ,
ცის ქვეშ გვექნება ბინაო.
ლაფში ვიხრჩობით და გზების
ყურისმგდებელი ვინაო,
ჩვენი ჩივილი ალმასკომს
ჯერ არავინ მოისმინაო...
თავმჯდომარემ კი დიდი ხნით
გრილოში მიიძინაო...
ჩვენ უგზობამ დაგვღუპა,
ცივ ქვაზე დაგვაჯინაო.
ჰარუ ჰარალი ვარალო,
გასწიე ხარო წინაო...

ნახ. ქოქიაშვილის

ამიერ-კავკასიის გზატკეცილების ზოგი უმაღლესი ორგანოები მხოლოდ ცირკულიარების გზავნით კმაყოფილდებიან და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ გზების კეთებას.



— ვიშ! რა მშვენიერი გზები გაგვყავს! არსად არ არის ჯაფა.

# დაიგვიანეს... ჯერ არსად სჩანან!

— ჩვენ აქ კი არ ვმღერით.

— სად გვცალია სასიმღეროდ, თავზე ცეცხლი გვიკიდია, დატვირთული ვართ,უასრავი დავალებებით,კომბაინებით შეიარაღებულნი გამარჯვებისათვის ვიბრძვით, ხუთწლედს კისერს ვუგრეხთ.

— ჩვენ შირაქის ველიდან ვიძახით. 12 კომბაინის გუგუნში შეიძლება ჩვენი ხმა არც კი მისწვდეს ბევრს, მაგრამ ნიანგი ჩვენთან არის და ის დასძახებს ჩვენს მაგიერ უფრო მძლავრად.

— ჩვენ გავიგეთ, რომ გამოცხადებულია, საკავშირო კონკურსი დანაკარგებთან ბრძოლაზე, მოსავლის უკეთ აღებაზე, სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებაზე. ისიც გავიგეთ, რომ ნახევარი მილიონი მანეთია გადადებული გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად.

— ისიც ვიცით, რომ გამოიყო ჟიური, რომელსაც თავმჯდომარეობს ჩვენი ძია მიხეილ კალინინი, ისიც ვიცით, რომ კონკურსის ჩასატარებლად უნდა მოწყობილიყო ხელისშემწყობი კომიტეტი, რომელიც ძირეულ ორგანიზაციების შემწეობით მოახდენდა საკავშირო კონკურსზე წარსადგენ საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების კანდიდატურების შერჩევას.

—მაგრამ, „დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან“.

— არსად არაფერი ისმის ამ კონკურსის შესახებ. იმას ჩვენ არავის ჩაუთვლით ვაჟკაცობად, რომ საკავშირო ორგანოების დადგენილება გადმობეჭდოს.

— ამაზე ადვილი რა არის? თქვენ ის მითხარით, სად არის ის ხალხი, რომელმაც ეს კონკურსი უნდა ჩაატაროს? სად არიან მიწსახკომის, კოლმეურნცენტრის, „ზაგოტზერნო“-ს და სხვ. წარმომადგენლები, რომ ჩვენ ხალხში გამოგვიყვანონ.

— „დაიგვიანეს ჯერ არსად სჩანან“!

— იქნება ქე ვარგივართ, იქნება ჩვენ გვაქვს ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც სხვებს არა აქვთ, იქნება ჯილდო გვერგება, ყოველშემთხვევაში ბრძოლა კონკურსში გამარჯვებაში ხომ არ გვაწყენს, თუ არ გვარგებს.

ხოლო თუ გამარჯვების ღირსი ვართ, ხომ არ გვაწყენს ჯილდო ფართლეულის და ფულის სახით.

— სადა ხართ, ჩამოყალიბდით, გამოგვაჩინეთ.

შირაქელი შეიხი.

# მუშათა დასასვენებელ სახლში



— ზოგი ჩვენი მუშა ბიუროკრატი გახდა!
—შენ გგონია ის მუშაა!
— მაშ საიდან მოხვდა აქ?
— ჩვეულებრივი ამბავია; კავშირში, ან დამზღვევ სალაროში ნაცნობი ეყოლება და სხვის „პუტიოვკას“ მაგას მისცემდა.

# გედი და მამალი

(იგავ-არაკი)

(ახალი ვარიანტი)

საღამო არის და ტბის ნაპირზე
გამოსულია მთელი ქალაქი.
ტბა ჟეჟვილით ღელავს ბიბინებს
და ცაზე არ ჩანს ნისლი და ლაქი.

ტბაში დაცურავს ამაყი გედი,
მოხიბლული მყავს იქ მყოფნი ყველა.
ჩაყურყუმალდა... აღარ ჩანს იგი...
ალბად დაიხრჩო... არ არის შველა...

ელოდებიან... არ მოჩანს გედი...
მაგრამ ამოჰყო სხვა ალაგს თავი.
ჯეირანივით აწვია ყელი,
მიცურავს ტბაზე ვით სწრაფი ნავი.

გადაეშვება... ისევ ამოვა...
ცურავს, სრიალობს ამაყი გედი.
ყველა ტაშს უკრავს, შესძახის „ვაშას“...
და ხედავს ამას მამალი ყბედი.

ფიქრობს მამალი.... გენერალი ვარ,
მამკობს დეზები ორივე ფეხზე;
გათენებისას ჩემი ყივილი
უფრო მძლავრია გავარდნილ მეხზე.

ვაღვიძებ ყველას და არ სჯირიათ
მაღვიძებელი და არც წამალი.
უგუნურები ვერ ცნობენ ავ-კარგს,
თორემ სად გედი და სად მამალი!

სიარული მაქვს დარდიმანდული;
ქათმებში მომაქვს მეფედ მე თავი.
აქ კი რას ვხედავ—დაცურავს გედი
და მას ტაშს უკრავს ხალხი პირშავი.

განა მაჯობებს გედი რამეში
თუ ჩემმა გულმა ეს მოიხურვა,
და ნუ ჰგონიათ ამ მაყურებლებს
გედზე ნაკლები ვიცოდე ცურვა!“

ახე ფიქრობდა ჩვენი მამალი,
ბრაზობდა იგი და ფაფხურობდა.
დიდი პატივი ჰქონდა დედლებში
აქ კი... აქ გედის ქებას ჰყურობდა.

მან გადასწყვიტა: „გადავფრინდები
და ჩავფრინდები გედივით ტბაში,
გედს სირცხვილს ვაჭმევ ოსტატურ ცურ-
ვით,
ჩემი იქნება „ვაშა“ და „ტაში“.

ეს გაიფიქრა და გადაეშვა,
იგი არ იყო იმ დროს დამფრთხალი.
მაგრამ ვერ შესძლო მამალმა ცურვა
და საცოდავად მორთო ფართხალი.

ერთჯერ იყივლა—მიშველეთო...
ჩაყურყუმალდა იგი ვით გედი,
მაგრამ გედივით ვერ ამოცურა,
დაიხრჩო ტბაში მამალი ყბედი.

გედი გაფრინდა ტაში თან გაჰყვა...
ტბის ფსკერზე ჰპოვა მამალმა ბინა.
მაყურებლებმა ბევრი იცინეს
და მხიარული დაბრუნდენ შინა.

ისელი.

# ტყალტაღებულნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ლაშხის



არც ღმერთი გვწამს, აღარც ხატი,
გამოტვინდით როგორც ბატი,

გაიმარჯვა კოლექტივმა,
ჩვენ წაგვიღო ზღვაზე ტივმა.

# მ უ ხ რ უ ჭ ი

## სადგური—წისქვილი

**ძირულა**—შორაპნის ხაზზე არის ბაქანი წევა, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა, თუმცა დღევანდელ მშენებლობის ტემპებს იგი ვერ ეწევა.

ახლა როგორი უნდა დაეწიოს და გაუსწროს, როცა მას არ ალირსეს უბრალო ფარდულიც კი.

ვილაც ცხონებულს ახლობლად წისქვილი გაუკეთებია.

ამჟამი ლოცვა - კურთხევა აქვს



მის გამკეთებელსა და გამკეთებელის მიცვალებულებს მგზავრებისაგან, რომ რაც უნდა წაწყმენდილი იყვნენ, მაინც ცხონდებიან.

როცა წვიმა და ქარია, მგზავრები წისქვილში არიან. წისქვილის ხმაურში მათ ხშირად გამოეპარებათ მატარებელი, მარა არა უშავს. უნდა უყუროთ, რა სიამოვნებას გრძნობენ კონდუქტორები, როცა წისქვილიდან გამორბიან მგზავრი გლეხები და ფეხდაფეხ მისდევენ ბაქნიდან დაძრულ მატარებელს.

წისქვილიდან ხშირად ისმის მგზავრების სიმღერა:

**რკინისგზების სამმართველომ**
**დაივიწყა ჩვენი წევა.**
**გაქანებულ მატარებელს**
**კოლმეურნე ვერ ეწევა.**

**იქაური.**

## ოზურგ. მატარებელში

მშვენივრად ბნელია ოზურგეთის მატარებელში.

ისმის ათასგვარი უწმაწური ხუმრობა.

— ბიჭო, არ გრცხვენია მაგის თქმისათვის?

— მაინც ვერავინ მხედავს და რეიზა უნდა მრცხვენოდეს!

— რა სისულელე ვქენი, რომ ბილეთი ვიყიდე! ამ სიბნელეში რევიზორი კი არა, ეშმაკიც ვერ შემამჩნევს.

— რატომ არ ანათებენ? — იკითხა ქალის ხმამ.

— მგზავრებს რომ ერთმანეთის არ შეეშინოთ! — დასცინა ვილაცამ.

— ბიჭო, ყველა შენსავით მაიმუნი კი არ გეგონოს, რომ შეხედვით შეშინდეს.

ცოტა კიდევ გავუძლოთ ამ სიბნელეს და, როგორც ამბობენ, რკ. გზის ადმინისტრაციას განზრახული აქვს მეორე ხუთწლედის ბოლოს ქართოფილის სანთლით გააჩირაღდნოს ეს ჩვენი მატარებელი!

ისმის მატარებელში განგებ ხმადასხვა ხმაზე სიცილ - ხარხარი.

**ცხვირა.**



## მოლარის დღიური

ჩვენს წინ დევს რომელიღაც სადგურის მოლარის დღიური. როგორც ჩანს — იგი წალვერის სადგურის მოლარის არის. ქალის ხელია. ამას ისიც ადასტურებს, რომ ერთ ალაგას წერია. „ბილეთი ტფილისამდი 8 მან. და 80 კაპ.“ სწორედ ასე ღირს წალვერ - ტფილისის ბილეთი.

მაგრამ ეს საინტერესო არ არის, თუნდაც წალვერის იყოს; განა სხვა სადგურებშიაც ასე არ ხდება?

აი, ივით დღიურიც:

**ყოველდღიურად მარტო ტფილისის მგზავრები საშუალოდ არიან 200. ბილეთი ღირს 8 მან. 80 კაპ. ცხრა მანეთს 20 კაპ. ნაკლებ. „ხურდა არა მაქვს“. ამიტომ თითო ბილეთზე მრჩება 20 კაპ. ორასი აბაზი, ე. ი. ორმოცი მანეთი“.**

**„ამბობენ — ტფილისში ლუდის გამყიდველები და ნავთის საწყობების გამგეები გაკეთდენ ქაფისაგანო, ნუ თუ ჩემზე მეტი ქაფი აქვთ მათ? არა მჯერა“.**

## გულუბრყვილო მგზავრი

სადგურში გასასვლელ კარებთან თვალუწვდენი რიგია.

მეკარე ზარს ელოდება, რომ მგზავრები გაუშვას.

— გამიშვით, ხომ ხედავთ ბილეთი მაქვს.

— გამიშვით, ბავშიანი ვარ.

— გამიშვით, ამდენი ბარგი მაქვს, მოვკვდი რიგში დგომით.

— გამიშვით, მოსამსახურე ვარ, უფლება მაქვს! — ეუბნებიან მეკარეს, მაგრამ მეკარე სასტიკად იცავს სადგურის უსასტიკეს უფროსის უსასტიკეს ბრძანებას.

— დიახ, არ შეიძლება; წესრიგს უნდა შეეჩვიოთ, ევროპაში ასე როდი ხდება. დაირეკება ზარი და ყველას გაგვიშვებენ; ადგილებსაც ყველანი ვიშოვით ვაგონებში, რადგან ცარიელი...

სიტყვა ვერ დაასრულა გულუბრყვილო მგზავრმა, რომელიც დიდი ხანია რიგში იდგა. ზარი რომ დარეკეს და გასასვლელი კარები გაიღო.

გულუბრყვილო მგზავრი სხვებსავით არ გაქცეულა. მან დინჯი ნაბიჯით გასწია მატარებლისაკენ, მაგრამ...

მაგრამ მატარებლის ყველა ვაგონები მგზავრებით იყო გაჭედილი თუ რამე კარების გაღებამდე, ზარის დარეკამდი გავსებულიყო ვაგონები.

გულუბრყვილო მგზავრი ვერ გაემგზავრა, ტფილისში დარჩა.

**სოფნაბულა.**

---

**„ხურდა არა მაქვს... ხურდა არა მაქვსო“... ეს სიტყვები ოქროს ასოებით უნდა ამოვკვეთოთ მარმარილოზე და ხატის მაგიერ კუთხეში ჩამოვკიდო!!.**

**ასეთია დღიურის ერთი ფურცელი.**

**მგზავრი.**

# რუსული იუმორი

## მოსავლის დღე

სოფ. ძილნარაში „მოსავლის დღის“ დღე სასაწაულის აღსანიშნავად დიდი მზადება იყო.

ალმასკომის თავმჯდომარე, რომელსაც სხვა დროს განძრევაც ეზარებოდა, პატარა ბიჭით დახტოდა და „შავ სამუშაოსაც“ კი აკეთებდა.

—დამზადების გეგმა ვერ შევასრულეთ, შავ დაფაზედაც გაგვაკრეს, მაგრამ „მოსავლის დღე“ კარგად გადვიხადოთ, რომ როგორმე შავი დაფიდან მოგვხსნან! — ამბობდა იგი და განკარგულებებს იძლეოდა.

მძინარა კულტკომისიაც კი აქტიურად მონაწილეობდა ზეიმის მოწყობაში და სცენას გირლიანდებით აწყობდა.

საგაგნგებო ლექსები დაიწერა ადგილობრივი პოეტების მიერ.

ადგილობრივ სასწავლებელს სპეციალური პიესა დაეწერა „მოსავლის დღეზე“ და თვითონ რეჟისორობდა.

ზეიმის გახსნა ყოფილ ხუცესს, ეხლა კოოპერატივის ნოქარს დაავალეს, რადგან მას ლაპარაკისა და კურთხევის უნარი ჰქონდა.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, რომ უეცრად ერთი კომკავშირელი არ გამომტყვრალიყო საიდანაც იყო და ლალადისად გამზადებული ნახუცარი არ შეეჩერებინა:

— სდექ! — გაისმა მისი ხმა და ყველამ მას შეხედა.

— ხომ არ გაგიჟდა! — აჩურჩულდა ზოგი.

— რა საჭიროა ეს? — თქვა კომკავშირელმა და ფეხის წაკვრით წააქცია სცენაზე მდგომი კულაკის საფრთხობელა. — აქ ისედაც ბევრია საფრთხობელა.

— ე. ი. როგორ? — გაუკვირდა თავმჯდომარეს. — შენ გინდა ჩვენი ზეიმი და მხიარულება ჩაშალო?

— ნებას არ მივსცემთ! — გაისმა პროტესტი.

რა გაქვთ სამხიარულო და საზეიმო? ჩვენს სოფელს არ შეუსრულებია დამზადების გეგმა, იგი სამარცხვინოთ ჩამორჩა სხვა სოფლებს.. ჩვენი სოფელი შავ დაფაზეა.. განა ეს არის საზეიმო და სამხიარულო?!

— მაშ ვიტიროთ? — შეეკითხა ვიღაც.

— არა, ტირილი რა საჭიროა, მაგრამ შავი დაფის გარეშემო ცეკვა არ შეიძლება; საჭიროა ხტომა.

— როგორ' რას ამბობს? ხტომა რატომ?

— იმიტომ, რომ შავი დაფიდან წითელ დაფაზე გადავხტეთ. აი, მხიარულება და ზეიმი მაშინ იქნება კარგი.

ერთმანეთს დარცხვენით შეხედეს.

ასე „ჩაიშალა“ სოფელ ძილნარაში გასულ წელს „მოსავლის დღის“ დღესასწაული.

ამავიეროთ წელს ზეიმით გადაიხდიან, რადგან დამზადების გეგმა უკვე ასი პროცენტით შეასრულეს.

## მოქნილი აპარატი



უფროსი: — კიდევ იტყვიან, რომ ჩვენი აპარატი მოქნილი არ არის?!

## წმენდაზე



— აი, როდის არის მართლაც „ცხოვრება — სცენა“, — მთელი ცხოვრების თხრობა სცენაზე გიხდება!

## რა არის „წერკუმსი“

ცხოვრობდა ერთი წერა-კითხვის უცოდინარი კაცი და მას მოესურვა გაეგო — რა იყო „წერ-კუმსი“.

— „წერკუმსი“ — ეს სიშორეა, დავიწყება !— აუხსნა მას ბიუროკრატმა. — „წერ-კუმსი“ — ეს დაბრკოლებაა, ხელის შეშლა! — აუხსნა კულაკმა. — „წერკუმსი“ — ეს ცოცხია — აუხსნა ხუცესმა, „წერკუმსი“ — ეს წყურვილია აუხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაქმნილმა.

უცოდინარმა ამ განმარტებებიდან ვერაფერი გაიგო და სთხოვა მათ გასაგებად აეხსნათ — თუ რას ნიშნავდა „წერ-კუმსი“.

— სიშორეა, დავიწყება; მე „წერკუმსის“ საქმე ყოველთვის შორს მაქვს გადადებული და თანაც მივიწყებული! — განუმარტა ბიუროკრატმა.

— დაბრკოლებაა, ხელის შ[illegible] იმიტომ, რომ მაბრკოლებს და ხელს მიშლის მოსახლეობაში ჩემი ზრახვები გავატარო! — განუმარტა კულაკმა.

— ცოცხავს, გვის იმიტომ, რომ ეკლესია გამიწმინდა მორწმუნეებისაგან! — განუმარტა ხუცესმა.

— წყურვილია იმიტომ, რომ როცა ლიკვიდაციას უზამ წერა-კითხვის უცოდინარობას, კიდევ მეტი ცოდნის წყურვილი აღგეძრება! — განუმარტა წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაქმნილმა.

## „უზრდელი“



— საკვირველი კაცია! მივიღეთ მისი წინადადება, ჯილდოც მივეცით; [illegible] გამოსულა და მისი წინადადების ცხოვრე-ბაში გატარებასაც თხოულობს.. აი, თავხედობაც ამას ჰქვია!

# პირუტყვები მარხულობენ, საკვებს ვეღარ ნახულობენ!

საქონელი ეკუთვნის მიწსახკომს აფხაზეთის,
რომელმაც ის ჩააბარა მეურნეობას ეთერ-ზეთის:—
მოუარეთ, მოაშენეთ, მოვლით, კვებით დაამშვენეთ...
რძე-ყველი თქვენ ისარგებლეთ, ნამრავლი კი იყოს ჩვენი,
(თუმცა ერბო და კარაქი არც ჩვენ კუჭში არ გვაწყენდა).
გამოზარდეთ მონაგები: ფურები და ხალი ბუღა,
უჭმელობა აუოფინეთ, ცოდვამ გული აგვიდუღა...
თუ მოკვდება, ნუ იდარდებთ, შეიკვრეთ ფეხზე წუღა,
თუ არა და გავახაროთ: შაქრო, მიტრო, ელიშუღა...
ამ პირობით შევიდუქერ ათი ძროხა ხალი, ჯიშიანი
ჩააბარეს ეთერ-ზეთებს, თვითონ უქნეს შემდეგ განი.
ჩააბარეს და სამყოფად მიუჩინეს ახალგაგრა,
თითო ძროხას ორი-სამი მეთვალყურეც მიემაგრა...
ხალხი ჭამით მოჯობინდეს, წესი არის გაძღენ მაგრა,
რა უყოთ, რომ უჭმელობით დღეს ძროხები დაიჩაგრა...
გაჰქრა თივა, ქერი, ფშიხა, თავს არ იფხანს მასზედ მიხა,
ძროხებს პირი აუკონეს, სენმაც თავი მოუგრიხა... ტრ. თ—ძე.

## იდეალური სასიძო
### (სადგ. ტფილისი)

მატარებელი № 63/64 აცილებდა ვლადიმერ კოხრეიძე, რომელსაც რაღაც იშმაკად ერთმა მგზავრმა ჭიქით ღვინო მიაწოდა. კოხრეიძესაც ეს უნდოდა — დაიხახა გაშლილი სუფრა. მას აღარ დასჭირვებია დაპატიჟება, თვითონ სცა თავის თავს პატივი და მიუჯდა მათ გვერდით. სადღეგრძელოების გამოთქმაში თითქმის ყველას აჯობა.

დათრობის შემდეგ „სიყვარულის ნიადაგზე" ეცა მგზავრ აჯიმამუდოვის ქალს. ქალის მამამ წინააღმდეგობა გაუწია. ამ სიყვარულზე უფროსმა კონდუქტორმა დასწერა რომანი - ოქმი და ვინ იცის რით გათავდებოდა საქმე, რომ ეს რომანი-ოქმი ძმა - ბიჭების დახმარებით არ დახეულიყო.

კირილე საფირჩიელი.

## წერილი
### ქუთაისის სასამართლოს

მიქაშავიძე პელაგო
ქვრივი, უმწეო ქალია.
სახლის პატრონი აუტყდა,
(ეზიკაშვილი გვარია)
და გამოაგდო სახლიდან
ქვრივი, უმწეო ქალია.
(ალბად არ იყო „ბედკრული
სხვებსავით მოსათალია).
მისი შვილი კი დღეს ჯარში
წითელი - არმიელია,
მშრომელთა ხელისუფლების
იგი ერთგული მცველია.
დედამისს ბინას არ აძლევს,
რომელ კანონში სწერია!?
ასეთი მოსამართლენი
ხელისუფლების მტერია.

სამნი

## სასადილო ორიანტი

ვინ არ იცის ჩვენს ტფილისში
სასადილო „ორიანტი".
გამგეები ბლომადა ყავს,
სულ იქნება ორი ათი.

შეცვლები თავიდანვე
ამ საქმისა მეთაურებს.
ერთი კაცის მაგიერად
შიგ რომ ასი ხელებს ურევ

როცა საქმე გაფუჭდება,
მაშინ ყველა პირს იბრუნებს,
ვასო იყო დამნაშავე,
ან თუ სხვები—ვინ უყურებს.

შევუდექით ვითომ რემონტს,
შევალეთრეთ ზემოთ ჭერი;
სკამებს ლაქი გადავუსვით,
ჩამოვფერთხეთ კედლის მტვერი,

შიგ პალმები ჩავამწკრივეთ
ჩაქვ - ბათომში შენაძენი.
(მათ ბოჭკოსთვის ქე დავხარჯეთ
ასიოდე ფიჭვის ძელი).

საქონელის შემსყიდველად
სასადილოს კვლავ ჰყავს ბენო;
ბევრი ჰქონდა განაცდენი.
ახლა მასზე ამბობენო:

სამტრედიას გაემგზავრა,
იქ დაიპყრო მან ბაზარი;
ხუთი ბატი მოიყვანა
და ამდენი გოჭი მკვდარი,

ბოღმისაგან ლამის გავსკდე,
კაცი სულ მთლად დავიბენი,
ვერ გავიგე—რას აკეთებს
გამგეები აქ ამდენი?

მომხმარებლებს თითქმის სჭარბობს
მათი რიცხვი უამრავი,
გასაკვირიც აღარ არის,
რომ შიგ შემსვლელს ძვრება ტყავი.

მესტვირე.

## სამქიმო ექიმი

ერთ მშვენიერ საღამოს, როცა წალენჯიხაში ავადმყოფობა გახშირებული იყო, ლეჟავას ქალი ადრე დაბრუნდა სამსახურიდან, (როგორც ხშირად სჩვევია ხოლმე) და ნაძვის ქვეშ გაიშოტა,

მდინარის შხუილი, თითქოს შეყვარებულის ჩურჩულიაო, ნაზად ალიმებდა, ხან რომანტიულად ჩაფიქრებული, ანგარიშობდა—თუ დღეს რამდენი ავადმყოფი გასინჯოს და რამდენი თანხა შეაგროვოს საკუთარი სოციალისტური დაბანდებისათვის.

გახარებულმა გიჟურად წამოიძახა:

— საქმე კარგადაა. ახლა საათის ოთხია და საღამოს 10-მდე 15 ავადმყოფს ვინახულებ. 15-ჯერ 20... სამასი მანეთი. სამსახურის შემდეგ სამასი, კაია,, თუ იასონ ლაგვილავა ავადმყოფების გასინჯვაში 30 მანეთს იღებს, მე რა დავაშავე, 20 ავიღო.

თავის კაბინეტში შესვლა დააპირა, რომ ვიღაცამ დაუძახა:

— ექიმო, მიშველე ცოლი მიკვდება.

— რა დაემართა?

— აბა რა ვიცი, ტყუპი შვილი ეყოლა გუშინწინ და მგონი ამეღამაც მესამეს აპირობს...

— მაშ სასწრაფო დახმარების აღმოჩენა სჭირვებია შენ ცოლს.

— კი ექიმო, შენი ჭირიმე, ჩქარა წამოდი, უშველე რამე და ჩემი ოჯახი შენი მსახური იქნება, აჰა ეს 5 თუმანი ახლა დაიჭი და ხუთს კიდევ მოგართმევ...

ექიმმა გულში გაიცინა...

— მოქალაქე, ახლა ვერ წამოვალ, სხვაგან მივდივარ.

— ვაიმე ექიმო,—დაიღრიალა იორდანემ და მიწაზე რეხვა გაადინა.

— რა გემართება კაცო, შენ ხომ არ ხარ ორსულად!

— ბატონო ეხლა... ეხლა!—ძლივს ამბობდა იორდანე.

— ახლა რომ წამოვიდე, საქმე გამიფუჭდება; ამიტომ მეტი უნდა მომცე გასამრჯელო.

— რა გაეწყობა. ოღონდ შენი წამოსვლა მაღირსე და სხვას არ ვჩივი!—დაეთანხმა იორდანე და წინ გაუძღვა ექიმს.

ლიანელი.

## დეპეშები
### (სადგ. იანეთი)

სადგ. იანეთის მეისრე ი. კოხრეიძის ფანჯარაში შემოანათა მზემ და შუა კარებში შემოძვრენ იანეთის მეისრე ხათეიშვილი და კოპიტნარის ადგილკომი — ლეკვეიშვილი.

შეკრების მიზანი იყო—ბრძოლა კედლგაზეთების მიმართ, ვინაიდან კედლგაზეთები მათ საშველს არ აძლევდნენ. თათბირი გადატანილი იქნა ტიკებთან, სადაც გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია. შეუპოვარი შეტაკება მუხიან-კოპიტნარ-იანეთის კედლგაზეთებს:

შეზარხოშებულმა და გამარჯვებულმა რაინდებმა იანეთში გამართეს ხელჩართული ბრძოლა. ბევრი მგზავრი დაასაჩუქრეს მუშტებით.

მეორე დღეს კედგაზეთები ვიღაც უცნობმა ჩამოგლიჯა და მიიმალა.

რია.

# კურორტ აბასთუმანის მოღვაწეები

ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ 25 დღეს მიდის მავლინებაში, ხან ტფილისში, ხან იქ, სადაც მოეპრიანება.

საქმიანი კაცია კურორტთა სამმართველოს გადაწყვეტილი ჰქონდა მდ. აბასთუმანის ნაპირების გამაგრება, რის გამო შემოდგომაზე დაიწყეს თხრილის ამოღება. საქმის დაჩქარების დამთავრების მიზნით ას ორმოცდაათი საჟენის სიგრძეზე გაყვანილ იქნა ვაგონეტკების რკინის გზა პაშას ძლევანელობით, მაგრამ დახეთ უბედურებას,— „ინჟენერმა" პაშამ ამოთხრილი არხები ისეე ამოავსებია მუშებს ქვით, მიუხედავად იმისა, რომ საკურორტო სამმართველო მაინც დიდ იმედებს ამყარებს ამ პაშაზე.

## მიტო. გედევანიშვილი

ბავშვთა სნეულების ექიმი, რომელმაც ჩამოსვლისთანავე თავი გაასაღა ფილტვების ავადმყოფობის ექიმათ. თავის დროზე სამსახურში არ ცხადდება. ხშირად ითვრება და არის შემთხვევა-დამსვენებლებსაც აწუხებს. სრულებით უმიზეზოდ მოხსნა წვრილ შვილებიანი ქვრივი ქალი.

## დავით გაისაშვილი

შეიძლება იცნობდეთ: ამას წინეთ მისი საქმე საგმირონი მოთავსებული იყო გაზეთის ფურცლებზე. მან მიითვისა სხვისი „პუტიოვკა" (რაშიტ მუსტაფაევის) და გაჰყიდა. ამბობენ, რომ ეგი მუშა პარტიულებს და კომკავშირელებს სდევნის აპარატის „გაჯანსაღების" მიზნითო.

## მენახშე გრიშა

თუმცა არ ღირს მის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ მაინც საჭიროა აღინიშნოს, თუ როგორ ზრუნავს ეს „ზავხოზი" მომარაგებაზე. მან ამას წინეთ თავის ძმას გაატანა სამი ფუთი ხაჭვი, რომელიც პოლიტსამმართველომ ბორჯომში დააკავა. მაგრამ ამისთვის არ უნდა დაისაჯოს, რადგან უყვარს ძმაბიჭებთან ქეიფი, რომლის დროს ასე ღიღინებს:

დამიხსი დამილევინე,
ღვინო ესვათ ძმებო კახურ[illegible]
ვილხინოთ და ვსვათ [illegible]
სანამ მოგვხვდება პანღური.

## კოლია გზიაშვილი

ბზიაშვილი დიდათ განსხვავდება მენაბდისაგან: თუ მენაბდე სამიკიტნო-სასადილოებში ქეიფობს, ბზიაშვილს სანატორიუმის საწყობში აქვს გადატანილი ქეიფი.

## ვანო მაშულოვი

ეს ვაჟბატონი გახლავთ აბასთუმნის ცენტრალური ფოშტის ფოშტალიონი. მას მუშაობის სხვადასხვანაირი მეთოდი აქვს. ალბად მისი მეთოდები რომ ღდემდე გვეცნობებია საქ. ფ. ტ. სამმართველოსათვის, მას დააჯილდოვებდა. ჩვენი ვანო აწარმოებდა ჟურნალ-გაზეთებზე ხელის მოწერას; თუ ორი თვით გაზეთს გამოიწერდით, მიიღებდით ერთი თვის გაზეთს. დანარჩენ თანხას კი თავის ჯიბეში იდებდა. მოხსნეს სამსახურიდან, მაგრამ პურმარილის ძალით ისევ აღადგინეს, მისი დაგალებით წერილების გაწრცელებას ახდენს მისი პატარა ბავშვები, რომლებიც, როგორც ბურბუშელაში, ისე თამაშობენ შიგ. მზარეულს ვაა ბარათი თუ მოეწონათ, შინ მიაქვთ.

**ხანძელი**

# გაზარში

ნახ. ისაევის

ეროვნული ბიბლიოთეკა



[illegible] ვარ? ამა [illegible] საქონელს და იაფ ვეძებ".

# გოდორი

**ჭ. ჯეელს** (ასკანა, გურია). შენ ცოლი შეგირთავს, ჩვენ რა შუაში ვართ! „გული საბუდარიდან ამოვარდაო"... ეს კიდევ არა ფერია, თუ ჭკუაც თან არ გაჰყვა.

**ლაკოს** (სამტრედია). შევდივართ თქვენს გაჭირვებულ მდგომარეობაში და გიბეჭდავთ „ღია წერილს თქვენს თანამშრომელ ქალ ქსენიას მიმართ, რომელიც თქვენს გვერდში ზის და ხშირად გაცდენს მუშაობაზე".

ღიად გიჩანს გულმკერდის ვიტრინა,
რომლის ნახვამ გული ამიღიტინა.
გაშტერებით ჩავცქერი მასშია,
მაგის ხედვამ მე მთლად შომაშია.
დაიკარგე და წადი კარშია,
თორემ სიცხე ამივარდა თავშია, —
ხელებს გტაცებ წელსა და მკლავშია,
დამიჭერენ, თავს მიკრენ გამსახლშია
ცოლიც მოხლიშებს ცხელ უთოს თავშია;
რატომ დგები, რატომ ჩემს ცოდვაშია?
მიტომ გირჩევ გაზვიდე კარშია,
შეიბნიო მაგ გულმკერდის არშია,
შებნეული მომიჯექ მხარშია,
თორემ სიცხე ამივარდა თავშია.

გაფრთხილებასა და წინასწარ ზომების მიღებას, როგორც ჩანს, ნაყოფი ვერ გამოუღია—სიცხეს მაინც თავისი უქნია.

**შემოქმედელს** (შემოქმედი, ოზურგეთი). სასადილოს შესახებ გვწერთ, რომ:

კერძები ძლიერ ძვირია,
არც არის ხეირიანი;
წვენის მაგიერ შიგ არის
ბუუუის წყალი და მარილი.

სამაგიეროთ თქვენს წერილში წყალი ბევრია. და მარილი ცოტა. თუ თქვენ არ მიირთმევთ ასეთ კერძს, მით უმეტეს ნიანგი არ მიირთმევს ასეთ კერძს (ე. ი. თქვენს წერილს).

**იუზას** (ამბროლაური) და **ილმელს** (ს. ილემი, შორაპანი). თქვენ ორივე ეხებით ალმასკომის მუშაობას (უფრო უმუშევრობას). ამიტომ პასუხიც ერთი იქნება თქვენს წერილზე:

ხამკითხველოში შედიან
პატი, კვატი და მგურია.
სკოლის ქვა სხვებზე გაყიდეს
სკოლას რემონტი სწყურია
(ეს ამბროლაურში)
მაგრამ ალმასკომს სძინავს და
არ გაიბერტყა ყურია.
(ეს ორივე ალაგას).

ძილში როგორ უნდა გაიბერტყოს ყური! ჯერ გამოაღვიძეთ.

რაც შეეხება შორაპნის კოოპ. გამგეობის თავმჯდომარეს, რომ „მას გეგმაში აქვს მოხსნას მუშკორი",—დარდიც ნუ გაქვთ,—რა მაინცდამაინც ამ გეგმას შეასრულებს, როცა სხვა გეგმა არ შეუსრულებია!

**ნაკითხელს.** ამ ლექსს ჩვენ ვერ დავბეჭდავთ, რადგან იუმორისტული არ არის. სხვებიც არ დაბეჭდავენ, რადგან სერიოზული არ არის.

**ავთანდილს** (აჭარე). თქვენ შეურაცყოფილად გრძნობთ თავს, რომ ვერ დაგაფასეს და

ვაი, რა კარგი ხანიწო
რა ავად მიმიჩნიეხო;
მოლოდინსავან კეთილი
შურით ვერ გაარჩიეხო.

ალბად თქვენ გეგონათ, რომ ამ ლექსს ვერ გავარჩევდით და თქვენათ მივიჩნევდით. გავარჩიეთ და მივიჩნიეთ, რომ ეს ლექსი თქვენი კი არა, დ. გურამიშვილის არის. (ამოწერილი გაქვთ 35 გვ.). ლექსი კარგია, მაგრამ თქვენ რა! როდის იყო, რომ ავთანდილი ქურდობდა, რად არცხვენთ რუსთველის გმირს?

**შესწორება:** ჟურ. „ნიანგის" № 17-ში მოთავსებულია ცნობა ცენტრ. ამბულატორიის კბილის ექიმის შესახებ. როგორც ამბულატორია გვატყობინებს აღნიშნული ამბავი არ შეეხება კბილის ექიმ ძამოევას.

ჟურ. „ნიანგის" № 15-ში მოთავსებული ცნობა ტურაშვილის შესახებ არ დადასტურდა.

# ნიანგი

## რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო

გზატკეცილების სამმართველოს მიერ გამოცხადებულია ჯილდო რაიონებისათვის გზების გეგმების შესრულებაში.

ნახ. ქოქიაშვილის




ამხ. ვ. ქურდაძე (გზატკეცილების სამმართველოს უფროსი — ჩამორჩენილებს):— ეხლა ხომ თავისთავზე განიცადეთ თქვენივე დაუდევრობა გზების მიმართ!


სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68 მთავლიტი 2400